



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/207

„ 20 „ ნოემბერი 2020 წ.

ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე
ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის
პროცედურის დაწყების შესახებ**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ბესარიონ ალავიძე თანამდებობაზე არჩეულია 2011 წლის 22 თებერვალს, 10 წლის ვადით. შესაბამისად, 2021 წლის 22 თებერვლიდან ვაკანტური გახდება უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 1 საშტატო ერთეული. აღნიშნულის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34¹ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად:

1. დაიწყოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურა.

2. უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 1 ვაკანსიაზე განცხადებები ელექტრონული ფორმით მიიღება 2020 წლის 21 ნოემბრიდან 14 დეკემბრის ჩათვლით.

3. ინფორმაცია შერჩევის პროცედურის დაწყების შესახებ მიეწოდოს საზოგადოებრივ მაუწყებელს და ყველა ეროვნულ მაუწყებელს.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი
საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი